პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მებრძოლი

ფასი 5 კაპ.

1 ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების
ორგანო
გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით.
წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ—80 კ. სტრ.
მე 4-ზე—40 კ.

175 (1170) | კვირა, 28 ნოემბერი 1926 წ. | (1170) 175

## მოსახლეობის აღწერა.

1926 წლის 17 დეკემბრიდან მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყება მოსახლეობის აღწერა.

ყოველმა წითელარმიელმა უნდა იცოდეს ამ მეტად დიდი საქმის მთელი მნიშვნელობა.

მოსახლეობის აღწერა წინადაც სწარმოებდა და ეხლაც ხდება კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ყოველმა სახელმწიფომ უნდა იცოდეს თავისი მოსახლეობის რაოდენობა, მისი სოციალური შემადგენლობა, შემოსავლიანობა, კულტურული დონე, ოჯახური მდგომარეობა და სხვა.

მით უმეტეს საჭიროა ეს საბჭოთა სახელმწიფოსათვის, რომელიც მთელ თავის სამეურნეო მუშაობას ამყარებს გეგმიანობაზე.

თუ ჩვენ არ გვეცოდინება რამდენი მოსახლეობაა საბჭოთა კავშირში, როგორია მათი კულტურული დონე, ოჯახური მდგომარეობა, მათი მუშაობის დარგი, სოციალური ბუნება და სხვა, ძლიერ გაგვიძნელდებოდა წინსვლა სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

„სოციალიზმი—ეს აღრიცხვაო“, სთქვა ამხ. ლენინმა. თუ არ აღრიცხე ყველა საშუალებანი და შესაძლებლობანი—ისე ნაყოფიერ მუშაობას ვერ აწარმოებ. სწორედ ამიტომაც მოსახლეობის აღწერას საბჭოთა კავშირისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ის მისცემს სრულ ამომწურავ ცნობებს ჩვენს მეურნეობას ხელისუფლებას საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ; მისცემს საჭირო მასალას პურის გეგმის შესადგენად, რათა პურის გაზიდვა საბჭოთა საზღვრების გარეთ ხდებოდეს მიზანშეწონილად; აღწერა სრულ წარმოდგენას მოგვცემს ჩვენი მოსახლეობის კულტურული დონის მდგომარეობაზე, რაც საშვალებას მისცემს ხელისუფლებას მეტის წარმატებით და ნაყოფიერობით წაიყვანოს წინ საბჭოთა კავშირის კულტურული აღორძინების საქმე.

აი რას მოგვცემს აღწერა.

მაგრამ აღწერის წარმატებით ჩატარება არც ისე ადვილი საქმეა. დაკითხულ უნდა იქნას 130 მილიონი ადამიანი. ამიტომ მისი ნაყოფიერად, დაუბრკოლებლად ჩატარება შეიძლება მხოლოდ თვით მოსახლეობის ენერგიული და აქტიური დახმარებით. ყოველი მუშა, გლეხი, წითელარმიელი, ყოველი საბჭოთა მოქალაქე დიდი სერიოზულობით უნდა მოეპყრას ძომ ვალ აღწერას.

წინად გლეხობა ეჭვის თვალით უყურებდა ყოველგვარ აღწერას, არ აძლევდა სწორ ცნობებს, გვერდს უვლიდა მას. მისი ეჭვი და შიში სამართლიანი იყო, ვინაიდან მემამულეები და კაპიტალისტები ტყავს აძრობდენ მას.

საბჭოთა აღწერა კი ეხმარება სოციალისტურ აღმშენებლობას, მაშასადამე ემსახურება მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მის კეთილდღეობას.

ახალგაზრდა წითელარმიელებმა თავის წერილებში მშობლებისადმი უნდა აუხსნან მათ აღწერის მნიშვნელობა და მოუწოდონ, რათა ისინი შეგნებულად შეხვდენ აღწერას და ყოველმხრივ დაეხმარონ მის წარმატებით ჩატარებას.

## პირველი იყავ ყველგან

ახალ შევსებასთან ერთად ჩვენი ჯარის რიგებში მოვიდა განსაზღვრული რიცხვი პარტიულებისა და კომკავშირლების.

ახალწვეულებთან ერთად ეს ამხანაგები ჩაებმებიან სამხედრო პოლიტიკური სწავლებაში და მით ხელს შეუწყობენ წითელი ჯარის რიგების განმტკიცებას.

კომუნისტების როლი წითელი ჯარის აღმშენებლობაში მეტად დიდია. სამოქალაქო ომის დროს ჩვენი პარტია და კომკავშირი ათასობით და ათიათასობით გზავნიდა თავის წევრებს კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი მუდამ მოწინავე ხაზზე იყვნენ საბჭოთა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში და თავისი გმირობით ამხნევებდენ მშრომელთა რიგებს.

აი ტრადიცია—ყველგან პირველი იყვენ წითელი ჯარის განმტკიცების საქმეში—სავსებით უნდა დაიცვან პარტიულ და კომკავშირელ ახალწვეულებმა. კომუნისტური პარტია—ის ხერხემალია, რომელზედაც დაყრდნობილია წითელი ჯარის სიძლიერე.

მაშასადამე ყოველი პარტიის წევრი სამხედრო პირი—აქტიური მშენებელი უნდა იყოს წითელი არმიის, კომუნისტურ და კომკავშირელი წითელ არმიელი—სამაგალითო წითელი არმიელი უნდა იყოს. დისციპლინის განმტკიცების დარგში, თუ სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებაში ის მუდამ პირველი უნდა იყოს.

კომუნისტი და კომკავშირელი წითელ არმიელი მთელი თავისი შეგნებით და ძალღონით ხელს უნდა უწყობდეს პარტიის და ხელისუფლების ყველა იმ ამოცანების შესრულებას, რომელნიც მიმართული არიან წითელი ჯარის გამაგრებისა და გასალკდევებისაკენ. როგორც მოწინავე, აქტიური ამხანაგი კომუნისტი წითელ არმიელი მუდამ მაგალითს უნდა აძლევდეს ჩამორჩენილ უპარტიო ამხანაგებს, ხელს უწყობდეს მათ ნაკლის გამოსწორებაში და სხვა.

**იყო საუკეთესო მსროლელი, დისციპლინიანი წითელ არმიელი, ყველაზე უფრო პოლიტიკურად განვითარებული მებრძოლი და ყველაზე უკეთ იცოდე სამხედრო საქმე—აი ის მოთხოვნილება,** რომელსაც წითელი ჯარის პარტორგანიზაცია უყენებს ახლად მოსულ პარტიულ და კომკავშირელ წითელ არმიელებს.

თუ ამ მოთხოვნილებას პარტიული და კომკავშირელი წითელ არმიელი შეასრულებს, მას შეუძლია თამამად სთქვას, რომ ღირსეულად და კეთილსინდისიერად შეასრულა პარტიის დავალება.

# ამხ. კრასინის გარდაცვალება

### მთავრობის ცნობა

24 ნოემბერს ღამით ლონდონში გულის სიგანივრით გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში ლეონიდე ბორისის ძე კრასინი.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამხ. კრასინის სახით დაჰკარგა ერთერთი უდიდესი მოღვაწეთაგანი, გამოჩენილი მუშაკი სახელმწიფო აღმშენებლობის სხვა და სხვა დარგში, უდიდესი სოციალისტი და იმავ დროს მუშათა კომუნისტური მოძრაობის უხუცესი მოღვაწე.

აფასებდა რა მის იშვიათ ცოდნასა და მუშაობის უნარს, საბჭოთა კავშირის მთავრობა ნიშნავდა ამხ. კრასინს მეტად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან თანამდებობებზე.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები, რომელთაც კარგად იციან კრასინის სახელი, იზიარებს მთავრობის მწუხარებას ამ მძიმე დანაკლისის გამო.

## საკავშირო კომპარტიის ცეკას ცნობა

### პარტიის ყველა წევრებს

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრი ლეონიდ ბორისის ძე კრასინი—ამხანაგი ნიკიტიჩი, ჩვენი პარტიის ერთი უძველესი და უნიჭიერესი წევრთაგანი.

ამხ. კრასინში გაერთიანებული იყო გამოჩენილი რევოლიუციონერის და დიდი მეცნიერულად მოაზროვნე ადამიანის იშვიათი თვისებები; ის იყო ადამიანი, რომლისთვისაც რევოლიუციისა და სოციალიზმის საქმე თავისი ცხოვრების მთავარ საგანს წარმოადგენდა. მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის დაწყების და ჩვენი პარტიის ორგანიზაციის პირველ დღეებში, მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგაც პარტია ამხ. კრასინს ნიშნავდა რევოლიუციონური ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე. ამხ. კრასინი—რევოლიუციონერი ამავე დროს კარგი სპეციალისტი—ინჟენერი იყო. როგორც გამოჩენილი ორგანიზატორი და სახელმწიფო მოღვაწე, ის მუშაობდა საბჭოთა კავშირის მთავრობის უდიდესად საპასუხისმგებლო პოსტებზე. ის იყო ნიჭიერი კომუნისტი—დიპლომატი, სიკვდილმა მოუსწრო მძიმე მოვალეობით დატვირთულს, ბურჟუაზიულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ წარმომადგენლის თანამდებობაზე.

ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა კიდევ ერთი უძველესი მებრძოლი, მაგრამ მუშათა კლასის დაუშრეტელი ძლიერება ახალ ძალებს წარმოშობს რევოლიუციონური ბრძოლის საქმისათვის და ჩვენი პარტია, მიუხედავათ ყველა იმ დანაკლისისა, რომელსაც ის ამ უკანასკნელ წლებში განიცდის, შეუსუსტებლად კიდევ მეტი წარმატებით წინ წაიყვანს სოციალიზმის მშენებლობის შემოქმედებით მუშაობას.

## არალეგალური მომუშავე, გოლშევიკი ლენინელი

ლეონიდ ბორისის ძე კრასინი დაიბადა 1870 წ. რევოლიუციურ მოძრაობაში მან დაიწყო მუშაობა მაშინ, როცა ის ლენინგრადის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. 1891 წ. დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო ის გამორიცხულ იქნა ინსტიტუტიდან. 1894 წელს დააპატიმრეს და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით გადაასახლეს ირკუტსკში.



ლ. ბ. კრასინი

აქედან ის დაბრუნდა 1897 წელს, შევიდა ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაასრულა 1900 წელში. 1902—4 წლებში ის მუშაობდა ბაქოში ბაილოვის ელექტრო-სადგურის გამგედ და ეწეოდა არალეგალურ მუშაობას.

აქ ის აწყობს საიდუმლო სტამბებსა და წრეებს. 1905 წ. აწარმოებს აჯანყების მზადებას. მალე მან დაიკავა ცეკას წევრის საპასუხისმგებლო თანამდებობა, რომელზედაც ხელახლად იქნა არჩეული ორჯერ.

1907—8 წ. ის კვლავ დააპატიმრა მეფის „ოხრანკამ“, შემდეგ ის იძულებული შეიქნა წასულიყო საზღვარ გარედ.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. კრასინმა დაიკავა უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმის წევრის თანამდებობა, ხოლო 1920 წლიდან 26 წლამდი—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობა. ამასთან ერთად ამხ. კრასინი ასრულებდა მთელ რიგ საპასუხისმგებლო მოვალეობასა და დავალებებს უცხოელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების საქმეში.

სამოქალაქო ომის დროს ის იყო რწმუნებული წითელი არმიის მომარაგების საქმეში. 1920 წელში ის იყო საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე ინგლისში. 1922 წელში ის იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი გენუაში. იყო სრულუფლებიან წარმომადგენლად საფრანგეთში და იმავე დროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობასაც ასრულებდა.

1925 წლის ოქტომბრიდან ის იყო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში.

მე-13 ყრილობიდან ის ითვლებოდა სკპ (ბ)-ს ცეკას წევრად

## ინგლისელების ძღვენი ჯალათებს

ინგლისის პოლიციამ ტიანცზინში დააპატიმრა 14 გომინდანელი და გადასცა მუკდენის ხელისუფლებას. დაპატიმრებულთ ბრალად ედებათ რევოლიუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა და არსებულ მთავრობის ჩამოგდების მომზადება. ტიან-ცზინში ამ ჟამად სამხედრო წესებია გამოცხადებული. ამის გამო შიშობენ, რომ დაპატიმრებულებს დახვრეტენო.

## ფრანგები უსწორდებიან სირიელ აჯანყებულებს.

დამასკის მიდამოებში სიკვდილით დასჯილ იქნა სამი აჯანყებული, რომლებიც, ფრანგების ცნობით, დაჭერილ იქნენ იარაღებით ხელში.

ახალი აჯანყების თავიდან ასაცილებლად ფრანგებს მიჰყავს მძევლები ადგილობრივი მოსახლეობიდან.

## ჩვენი მტერმოყვრები.

### გამორიცხეს სიმართლის დანახვისათვის.

გერმანიის მუშათა დელეგაციის მონაწილე საბჭოთა კავშირში ავგუსტ დერკსი გამორიცხულ იქნა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

### არც ფინეთი ჩამორჩება.

ფინეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა ნებართვაზე სეიმის სოციალდემოკრატ იოკილოს, რომელსაც აგზავნიდა ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანება საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მე-7 ყრილობაზე.

### ინგლის-საბჭოთა მთამადნელთა კავშირი.

ინგლისის მთამადნის მუშები შეეკითხა საბჭოთა კავშირის მთამადნის მუშებს—მუშათა რომელ კლუბთან შეუძლიათ კავშირის დაჭერა.

მთამადნის მუშათა ცენტრ. კომიტეტი პასუხში ურჩევს დაიჭირონ კავშირი № 1 მაღაროს მუშათა კლუბთან კოროლევკაში (დონის აუზში), რომელიც აერთიანებს 3.500 მუშას.

# საბჭოთა კავშირში

### პარტიული აღწერა და პარტბილეთების გამოცვლა

ს. კ. პ. (ბ)—ს ცეკამ დაადგინა გადაიტანოს 10 დეკემბერს დანიშნული პარტიული აღწერა 1927 წლის 10 იანვრისათვის.

ს. კ. პ. (ბ)—ს ცეკამ დაადგინა პარტბილეთების ახალ ბილეთებზე გამოცვლა ჩაატაროს 1927 წლის მარტში. ცალკე განაპირა ადგილებში, სადაც არ არსებობს რკინის გზის კავშირი, საზღვარგარეთელ უჯრედთა ბიუროებში, წითელ არმიისა და ფლოტის ცალკე ნაწილებში ბილეთების გამოცვლა უნდა ჩატარდეს 1927 წლის პირველ აპრილამდი.

1-ლ თებერვლიდან სწყდება 1922 წლის ნიმუშის პარტბილეთების გაცემა.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### ს.კ.პ.(ბ) ც. საკონტროლო კომისიის დადგენილება

**მიღებული 1926 წ. ნოემბერს, ადგილობრივი ოპოზიციის ბელადების, ამხ. ლ. დუმბაძის, კ ცინცაძის, ნ. კიკნაძის და ბ. კალანდაძის საქმის შესახებ.**

საქმესთან დართული მასალების და ცენტრალური საკონტროლო კომისიის საგამომძიებლო კომისიის დასკვნის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ცენტრალურ საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის მიერ, აღნიშნულმა ამხანაგებმა თავის ფრაქციული საქმიანობისათვის, როგორც ამჟამად, ისე წარსულში (1924 წელში ფრაქციული მუშაობისათვის მათ გამოეცხადათ გაკიცხვა გაფრთხილებით) დაიმსახურეს პარტიიდან გამორიცხვა (ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის ა.-წ. 6 ნოემბრის დადგენილება). მაგრამ, იღებს რა მხედველობაში მათ განცხადებას (გამოქვეყნებულს პრესაში ა.-წ. 21 ნოემბერს). სადაც ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელები აღიარებენ თავიანთ შეცდომებს ფრაქციული ბრძოლის ნხრით შლიან ფრაქციას და კისრულობენ უსიტყვოდ დაემორჩილონ პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებებს,— ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი, თავის წინა გადაწყვეტილების შესაცვლელად პარტიიდან მათი გამორიცხვის შესახებ

**ადგენს:**

ამხ. ლადო დუმბაძეს, კოტე ცინცაძეს, ნიკო კიკნაძეს და ბენო კალანდაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და ერთი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობის დაჭერის უფლების ახდით. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

(მიღებულია ერთხმად)

## პარტიულ ახალწვეულების სამი ამოცანა.

**პარტკომკავშირის მუშაობის პირობებთან გაცნობა, შინაპარტიულ მუშაობაში ჩაბმა, სწავლებაში მაგალითის მიცემა—აი პარტიულ—ახალწვეულის სამი ამოცანა**

**რა უნდა აკეთოს პარტიულ—ახალწვეულმა.**

1904 წლიანთა გაწვევით—ნაწილებში შედის ახალი პარტიული შევსებაც. ეს შევსება ჩვენი პარტორგანიზაციების ცხოვრებასა და მუშაობაში დიდ როლს თამაშობს. სცხოვრობს რა წითელარმიელთა მასის გვერდით, პარტიული შევსება უზრუნველყოფს ამრიგად ჩვენი უჯრედების მუდმივ კავშირს ამ მასასთან და პარტიის გავლენის განხორციელებას მასზე.

ამიტომ პარტიულ—ახალწვეულის ამოცანა და როლი ნაწილებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. თვითეულ პარტიულ—ახალწვეულმა თავისი როლი და ამოცანები განსაკუთრებით კარგად უნდა შეითვისოს, რათა კეთილსინდისიერად აასრულოს თავისი, როგორც პარტიულის ამოცანები არმიაში.

**როგორია ეს ამოცანები?**

პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული—ახალწვეული ადრევე უნდა გაეცნოს პარტიისა და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ამოცანებს არმიაში და, კერძოდ, თავის ნაწილში. პარტიისა და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას არმიაში მთელი რიგი თავისებურებანი აქვს, რომლებიც გამოწვეული არიან არმიის საერთო პირობებით და რომლებიც გამართლებულ იქნენ მთელი წლებისა და სამოქალაქო ომების გამოცდილებით.

რამდენადაც უფრო ადრე გაეცნობა პარტიული ახალწვეული მუშაობის პირობებსა და ამოცანებს და სწორად შეითვისებს მუშაობის ზოგიერთ თავისებურების შინაარსს, მით უფრო ადრე შესძლებს ის მონაწილეობა მიიღოს არმიაში წარმოებულ მთელ მუშაობაში. უჯრედთა ბიუროების მომავალი ხელახალი არჩევა და დივიზიის პარტკონფერენციები დიდად დაეხმარება ამ მხრივ პარტიულ—ახალწვეულს.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ნათლად შეითვისოს და მტკიცედ გაატაროს ყოველდღიურ ცხოვრებაში ის დებულება, რომ პარტიული არმიაში მაგალითი უნდა იყოს უპარტიოთათვის.

პარტიული—ახალწვეული უნდა გახდეს მაგალითი ყოველმხრივ: სამწყობრო მეცადინეობაში, პოლიტმეცადინეობაშიც, დისციპლინაშიაც, საქმის ასრულებაშიაც და ამტანიანობაშიაც. უპარტიო წითელარმიელი ადგენს შეხედულებას უჯრედზე ცალკე პარტიულების მიხედვით. და თუ რომ ის ხედავს, რომ პარტიულები სამაგალითო მეომრებსა და მეთაურებს წარმოადგენენ, ეს ამაღლებს მათ თვალში უჯრედისა და პარტიის ღირსებას და მისადმი ნდობას.

მესამე ამოცანა—ეს არის აქტიური მონაწილეობის მიღება უჯრედის მთელ მუშაობაში. ჩვენი უჯრედების წინაშე, ახალშევსების მოსვლასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები და მუშაობა სდგას. პარტიულ—ახალწვეულმა თავისი აქტიური მუშაობით უნდა დაეხმაროს უჯრედს მის წინაშე მდგომ ამოცანების შესრულებაში.

მთელი თავისი მუშაობა პარტიულ—ახალწვეულმა უნდა მოაწყოს ისე, რათა აამაღლოს ნაწილის ბრძოლის უნარიანობა, პარტიისა და უჯრედის ავტორიტეტი უპარტიოთა შორის.

ხ—ი.

## საუბარი ახალწვეულებთან

### პირველი დღეები ყაზარმაში.

ახალგაზრდა მეომრები უკვე ათავებენ კარანტინს და მალე გადავლენ ყაზარმაში.

ჯერ კიდევ უცხოა ყაზარმული ცხოვრება მეომრისთვის. სახლში თითქოს ყველა უზრუნველად სცხოვრობდა. დგებოდენ მამლის ყივილზე, ან როცა მზე ამოვიდოდა. ხოლო ყაზარმაში კი მესაყვირე აღვიძებს. დღიური გაიძახის:

— ადექით!

ვერ მოუსწრია ჩაცმა, რომ უკვე მეთაური მოითხოვს, რათა ლოგინი გასწორებულ იქნას. ვერ მოუსწრია პირის დაბანა, რომ ისმის ბრძანება:

— დადექით! და მთელი დღე ამხაირად მიდის.

ზოგიერთი ახალგაზრდა მეომარი მოიწყენს, ინატრებს თავისუფალ ცხოვრებას სახლში.

რასაკვირველია, რატომ არ უნდა მოიგონოს სახლი, მაგრამ უნდა ახსოვდეს მეორეც.

**ახალწვეული გახდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომარი—წითელარმიელი.**

ეს წოდება ათას ვალდებულებას აკისრებს არმიაში შესულ მოქალაქეს, და პირველი ვალდებულებაა—გაიგოს, რომ წითელი არმია არის ორგანიზაციული ძალა.

ორგანიზაციული ნიშნავს იმას, რომ წითელი არმია აგებულია ისეთ სისტემაზე, რომ ყველა მოქმედება, ხოლო უმთავრესად მეომართა მოქმედება შეთანხმებულია, რომ არმიის მთელი ცხოვრება მიდის დადგენილ წესით, განსაზღვრული გეგმის მიხედვით. სასტიკად გამონგარიშებულია ყაზარმის შინა წესრიგიც: ადგომა, ჩაი, დასვენება, მეცადინეობა და სხვა.

ეს იმიტომ, რომ არმია არ წარმოადგენდეს ადამიანთა თავყრილობას, არამედ შეკავშირებულ მასას, სადაც თვითეულს თავისი ადგილი უკავია, სადაც თვითეულმა იცის სად და როდის რა გააკეთოს.

ყაზარმაში მოსული ახალგაზრდობა ჯერ კიდევ არაა შეკავშირებული მეომართა საერთო მასაში. მეთაურებს დიდი ძალის დახარჯვა დასჭირდებათ და ასწავლიან მეომრებს რა როდის და როგორ აკეთონ.

ეს წესები რომ ადრევე იქნას დაცული, თვითეული ახალგაზრდა **მეომარი უნდა ეცადოს შეეჩვიოს ყაზარმის გრაფიკს, შეეჩვიოს წესრიგს და სხვ და სხვა**

რამდენადაც უფრო ადრე შეეჩვევიან ახალგაზრდა მეომრები წესრიგს და დაიწყებენ მეცადინეობას, მით უფრო ადვილი იქნება მათთვის ყაზარმაში სამსახური და ცხოვრება.

რა არის ამისთვის საჭირო? ბევრი არაფერი: ყურადღებით უსმინო და დაიმახსოვრო—რასაც მეთაური ამბობს, დაიმახსოვრო ყოველი მისი სიტყვა, დარიგება თვით წვრილმანამდე, და მეორეს მხრივ უნდა აასრულო თავისი მეთაურის თვითეული ბრძანება.

ზ.

### რა არის მ. გ. წ. ა--ს წესდებები.

წითელ არმიაში მთელი მუშაობა, რომელიც მიმართულია მეომრის გაწვრთნისაკენ, დისციპლინის და საერთოდ სამხედრო ძლიერების შექმნისაკენ ტარდება განსაკუთრებულ კანონებისა და წესების მიხედვით, რომლებსაც ეწოდება წესდებები.

ეს წესდებები სხვადასხვა სახელწოდებისაა, ვინაიდან თვითეული მათგანი ითვალისწინებს მუშაობის ცალკე მხარეს.

ჩვენ დავიმახსოვროთ ზოგიერთი წესდება, რომლებთანაც ამ თავითვე მოუხდება გაცნობა ახალგაზრდა მეომრებს.

სამსახურის პირველ ნაბიჯიდანვე თვითეულ სამხედრო მსახურს საქმე ექნება შინა სამსახურის წესდების მოთხოვნილებასთან.

ეს წესდება ეხება წითელარმიელთა ვალდებულებისა და ურთიერთობის პირობებს, წითელი არმიის თანამდებობის პირთა უფლებას, ყაზარმის წესრიგს, სახალხო ქონების მოფრთხილებას, ჯანსაღობის დაცვას და საერთოდ ყველაფერს, რისგანაც შესდგება მეომართა ძნელი, მაგრამ საინტერესო ცხოვრება.

შინა სამსახურის წესდება უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც სურს გაამართლოს წითელი არმიის მეომრის მაღალი დანიშნულება.

შემდეგ მიდის საგარნიზონო სამსახურის წესდება.

სამხედრო ნაწილებს ხშირად ევალება სხვადასხვა სახალხო ქონების დაცვა: საწყობების, ქარხნების, ხაზინების, რკინის გზებისა და სხვა.

წესებს იმის შესახებ, თუ როგორ მოუფრთხილდეთ ყოველივე იმას, რაც ბარდება წითელ არმიას დასაცავად—გვასწავლის საგარნიზონო სამსახურის წესდება.

**დისციპლინარული წესდება.**

დისციპლინა სამხედრო სამსახურის საფუძველია.

ამიტომ მეომრის არცერთი მოქმედება—კარგი თუ ცუდი, არ შეიძლება აღუნიშნავად დარჩეს.

თუ ცუდად მოიქცა—დასჯიან, თუ კარგად მოიქცა—აქებენ ან დააჯილდოებენ.

დისციპლინარული წესდება ითვალისწინებს ყველა სამხედრო მსახურთა საქციელის შეფასების წესრიგს.

ჩამოთვლილ წესდებათა გარდა არის კიდევ სხვები, რომლებიც შეიცავენ წესებს, თუ როგორ უნდა გახდე კარგი მსროლელი (სასროლო წესდება), როგორ უნდა იმუშაო საბრძოლო გარემოებაში (საველე წესდება და, ბოლოს, წესდებები, რომლებიც ასწავლიან სხვადასხვა სპეციალურ ჯარების მეომრებს.

აქ შედის არტილერიის, ცხენოსანთა, საინჟინერო საქმისა და სხვა წესდებები.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ წითელ არმიაში მუშაობისა და ცხოვრების თვითეული დარგი გათვალისწინებულია განსაკუთრებული წესებით—წესდებებით.

ვინც უკეთესად შეისწავლის ამ წესდებებს, ის ადვილად გაიმარჯვებს ბრძოლაში.

ა—ვი.

## „წალკის სასწაულთმოქმედნი" პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე

**ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.**

23 ნოემბერს უკანასკნელი სიტყვა მიეცა ბრალდებულებს, რომელთა უმეტესობა თავს სცნობენ დამნაშავეთ და მოითხოვენ პატიებას. რამოდენიმე ბრალდებული თავს აცხადებს მღვდლების მსხვერპლად და სთხოვენ სასამართლოს, რომ მათ სრულიად გაუნათლებელ გლეხებს, მოეპყრას ლმობიერად.

**განაჩენი.**

შვიდი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: 26 ბრალდებულს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით.

მსჯავრდადებულნი—დემურჩევა, ეფემია საბაძე, ფულოვა და სპიროვა ამნისტიის ძალით განთავისუფლებული არიან სასჯელისაგან.

სასამართლო მხედველობაში იღებს მსჯავრდებულთა—კესოვის, ჩიტოზოვის, კუდრიაკოვის, სპირიდონ საბაძის, ჯაგალოვის, ნალბანდოვის, აზნაუროვის, კონოსოვის, კელასოვის, კელაჯევის, ივანე პოპოვის და ჯეირანოვის სოციალურ მდგომარეობას, მათი განვითარების დაბალ დონეს და იმას, რომ ისინი საზოგადოებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენენ და სასჯელს უცვლის პირობითი სასჯელით და გამოსაცდელ ვადათ უნიშნავს სამ წელიწადს. ხოლო ბრალდებულ მღვდლებს—გრიგორიადისის, პარასკევოვს, დარჩიას, სიმონოვს, კარიბოვს და აგრეთვე კურდოვს, პოპოვს და საბაძეს, მათი სოციალური საშიშროების გამო სასამართლომ მიუსაჯა გადასახლება თბილისის, გორის და ახალციხის და ბორჩალოს მაზრების ტერიტორიიდან.

## ბრწყინვალე წარსულიდან

### წითელი დროშით მკერდზე.

(თარგმანი რუსულიდან)

ღმუის ქარ-ბუქი, არე-მარეს აწუხდება. გაბოროტებული ჩაუქროლებს სტანიცას, ღრიალებს, კვნესის.

სტანიცაში კი სდგას ლეგიონი, სძინავს ღრმა ძილით, დაიღალა ბრძოლებსა და ლაშქრობაში.

განაპირა ქოხში ცეცხლი ბჟუტავს. წითელი ლაქები მინდვრად დაძრწიან. შავი ბოძებივით დასობილან გუშაგები. მშობლიური, ნათელი სურათები უტრიალებს მათ თავში, ხოლო ქარი ჭირვეულობს: უუუჭჭჭუუუ-ისმის მისი ჯოჯოხეთური ჰანგი...

ვერცხლის ბირთვივით მიგორავს მთვარე.

მაგრამ ეს ხევში ვინ მიიპარება? ერთი... ორი. სამი... მხეცებია თუ ადამიანები? ჩუმად მიიპარებიან. მიდიან გაჭიმულ შარში. შავი მატლებივით მიხოხავენ აღმა, თოვლზე.

ქვევით თოვლით შებურვილ სტანიცას სძინავს. ათასი ბოროტი თვალით დაჭყურებს მას მთა.

მთიდან შავი ღრუბლებივით მოხოხავენ ვრანგელელნი. თავს რომ დაესხან, დაახრჩონ, დაჭხოცონ...

ქარი მიწყნარდა... მაგრამ უცებ აიწყვიტა, დაიღრიალა და თან წაიღო სტანიცისკენ მხეცური ბღავილი:

— ურააა!

სეტყვასავით სცემდენ შაშხანები, საფანტივით მოცვიოდა ტყვიამფრქვევის ტყვიები.

— ამხანაგებო!..

წამოიყვირა გუშაგმა და ხრიალი ამოუშვა.

— ეგრე, დაიხჩვი!

ვრანგელელნი ქუჩაში შეიჭრენ. ხმები ჰკვეთდა ქარს:

— ასეულო, თაფ!

— დაგვნებდით!

— ასეულო, თაფ!

— თავს დაუარე!

წითელარმიელები დაიბნენ მოულოდნელობით. გამორბიან ქოხებიდან, სცვივა ტყვიები, სკდება გრანატები.

— ამხანაგებო, შეგროვდით!

— ბუუმ... ბუმ!

— აქეთ!

თოვლზე მოსჩანდა სასიკვდილო ბრძოლაში შეყრილთა წრიალი.

— ვერაფერს გახდები შე ინგლისის მონავ!

— დაგწეწკავთ...

ოქროს ჩინებიან-ვარსკვლავებიანები ისროდენ, სჩეხდენ.

თოვლი სისხლს სვამდა. განაპირა ქოხი კვამლში გაეხვია. იფეთქა ცეცხლის ენებმა და მთელ მიდამოში ათარეშდა ცეცხლის ზოლები.

და როცა შავი ცა დასწვა რიჟრაჟმა, ქუჩები სისხლიან გვამებით აყვავდა.

სტანიცა ვრანგელმა დაიჭირა.

ჩუმად სტიროდა ქარი. აქა-იქ ქოხებში გაისმოდა სროლა, ხოლო ქუჩებს გადაირბენდა ხმა:

— გვიშველეთ!

— ვერ წავალ!

მთვრალი ოფიცრები გოგოებს მისდევდენ. აწვენდენ თოვლზე...

იქ, განაპირად ისმოდა სიმღერა:

**— ჩვენ ვზვიმობთ, ვიბრძვით,—ვ სთვის?**
**ორთავიან არწივისთვის. *)**

*) მეფის გვირგვინზე იყო გამოხატული.

ფანჯრებ ქვეშ გუშაგები ნაბიჯებს ითვლიან.

უკან აჩრდილმა გაირბინა!

— ვინ არის?

სიჩუმე.

აჩრდილი მიიმალა. თოფმა იგრიალა.

ქოხიდან გამოცვივდა რამოდენიმე ოფიცერი—თავზარდაცემული.

— რას ესროლე?

— ვიღამაც გაირბინა.

— სულელო!

— მე თვითონ დავინახე.

— მე შენ გიჩვენებ!..

—

ყინავს.

დადევნებულ მგელივით იყურება ძნებიდან წითელარმიელი.

ჩაიარა. გადარჩა... მაგრად იკრავს გულში მოსკოვის საბჭოს საჩუქარს—ლეგიონის დროშას:

— გადარჩა. ჯერჯერობით...

დროშა—ათასი მისი ამხანაგის პატიოსნება.

დროშა გაიზარდა ათასობით სიცოცხლის შეწირვითა და გმირობით. იქ, ქალაქის მოედანზე, სადაც მუშების ზღვა იდგა და ისმოდა ინტერნაციონალი, იქ მიიღო ლეგიონმა ეს დროშა. კედლივით იდგენ მეომრები მშრომელთა წინაშე.

— ფიცს ვსდებთ ხელიდან არ გავაგდოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე...

— წითელ დროშას მივიტანთ მსოფლიო რევოლიუციის დღემდი.

ასეთი ფიცი მისცეს მაშინ. ასეთი ფიცი მისცა მანაც. ჩასძახის ხმა:

— გადაარჩინე, გადაარჩინე დროშა.

ყური დაუგდო.

სტანიცა მთვრალი ოფიცრებით ღრიალებდა.

შეძვრა ჩალაში. ყინავს. სამი დღე გაუნძრევლად იწვა კაცი ჩალაში.

სამი დღე მოუხსნელად სდგას ბერა.

—

ეს რაა, რა ხმებია: ქარია თუ მომაკვდავ სიცოცხლის ქვითინი?

— ოხ, დედი! ერთი წვეთი... ერთი...

ლულღულებს წითელარმიელი წყურვილისაგან გამშრალი ენით.

რაღაც წელებში ჩხვლეტს.

ნუთუ სიკვდილი მოდის? უცებ შორს გაისმა ზარბაზნის ხმა, ერთი... ორი ახლოვდება..

— ნუთუ!

აი, ვიღამაც გაირბინა. გაიზუზუნა ტყვიამ.

— ამხანაგებო, ურააა!

— შარში, წინ, წინ!

— სცემე, დაუზოგავად!

სამივე მხრიდან სტანიცაში შემოცვივდა წითელარმიელები.

თივაში გული აძგერდა.

— ჩვენები, ამხანაგები!

გაყინული, მოდუნებული თითებით ასწია დროშა. ოქროსფერი სხივებით გაიელვა მან თოვლზე.

— საბჭოთა ძალა-უფლებისთვის.

და დაეცა. და მას თავზე დაეცა დროშა.

გაყინულ არე-მარეს წითელარმიელთა ურას ძახილი აყრუებდა.

და ამ ხმამ კვლავ წამოაყენა ის ფეხზე.

ს. დანილევი.

# ახალი ცვლა წითელ ყაზარმაში

## სწავლების პირველი ნაბიჯები.
### (ცხენოსანი ლეგიონი)

ეს რამოდენიმე დღეა, რაც ცხე-ოსან ლეგიონის ახალწვეულებ-ან დაიწყო სამხედრო მეცადი-ეობა. კარანტინის პერიოდი უკ-გათავდა და წითელ ყაზარმა-ი გადმოყვანასთან ერთად მუ-აობაც გაჩაღდა. მეცადინეობა წარმოებს დილაობით. ჯერჯერო-ით გადიან წყობილებაში სია-ულს, მიბრუნებ-მობრუნებას და ეორიულად სამხედრო საქმეს. ახალგაზრდა წითელ არმიელები ოდ გულისყურს იჩენენ ყველა წე-ების შესწავლასა და დისციპლი-ის საკითხების შეთვისებაში.

უკვე გავაცანით თითეული მე-აურის მოვალეობა და ვის რო-ორი ადგილი უკავია. ამას გარ-ა შინაურ წესდებებსაც ვაცნობთ. ველაფრისადმი უჩვეულო ინტე-ესს იჩენენ ამხანაგები.

#### ახალწვეულების პოლიტ მომზადებისათვის

ნაწილში დაარსებულია პოლიტ-მინარები. სემინარები ამზადებს ოლიტხელმძღვანელებს. ისინი გა-წევენ ახალწვეულებს ხელმძღვა-ელობას პოლიტმეცადინეობაში. მინარებში კვირაში 4 ჯერ სწა-მოებს მეცადინეობა. ირჩევა ახა-ი პროგრამები. საქმე მოგვარე-ულია და მეცადინეობაც ამ მოკ-ე ხანში დაიწყება ახალწვეუ-ებთან. სამეცადინო ადგილები კვე მზად არის. შეძენილია რუ-ები, დაფები და სხვა სამოსწავ-ო საგნები.

ახალწვეულები დიდი ინტერე-ით მოელიან პოლიტმეცადინეო-ის დაწყებას. მათი ცნობის მო-ვარეობა თანდათან იზრდება.

#### მომჭირნეობის რეჟიმი

ზედმიწევნით ტარდება ლეგიონ-ი. სახაზინო ქონებას ყველა მზ-უნველობით ეპყრობა. ახალწვეუ-ებს მრავალჯერ გაურკვიეთ თუ ა მნიშვნელობა აქვს ტანსაცმე-ის, იარაღის და ცხენების მოვ-ას. ისინიც გულმოდგინეთ ას-ულებენ ყველა დავალებებს.

მომჭირნეობის რეჟიმის მნიშ-ელობაზე მრავალგვარ შეკით-ვებს იძლეოდენ ამხანაგები და ენც დაწვრილებითი ახსნა-გან-რტებას ვაძლევდით.

#### კლუბიც ამუშავდა

ლეგიონის კლუბმა უკვე მოასწ-ო ახალწვეულებისათვის რამო-ენიმე სპექტაკლის გამართვა. მრა-ლი აღმოჩდა ახალწვეულებიდან რამ-წრესა და სხვა ჯგუფებში უშაობის მსურველი. ყველა ეს-კადრონებში საუცხოვოდ მოეწყო ლენინის კუთხეები და აქვე ჩამო-ყალიბებული იქნა სხვა და სხვა ხასიათის წრეები. ლენკუთხეებში თითქმის ყოველ საღამოობით იმა-რთება საუბრები. ახალგაზრდა წი-თელ არმიელები ყოველთვის მრავ-ლად ესწრებიან საუბრებს, იძლე-ვიან შეკითხვებს, მონაწილეობას ღებულობენ ამა თუ იმ საკითხის გაშუქებაში.

წრეები ლეგიონის მასშტაბი-თაც არის ჩამოყალიბებული. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახა-ლი წითელ არმიელები ჩავაბათ თვითგანვითარებისათვის წარმოე-ბულ მუშაობაში. ლენკუთხეებში წარმოებულ მეცადინეობის დროს ახალწვეულების მიერ მიცემულ შეკითხვების უმეტესობა ეხება ჩვენს საგარეო მდგომარეობას, საშინაოს და მომავლის პერსპექტი-ვებს. ძლიერ აინტერესებთ ამასთანავე ბურჟუაზიულ ქვეყნების შეიარაღება.

#### ლიტერატურით საკმაოდ ვართ მომარაგებული

ლეგიონის ბიბლიოთეკამ მრა-ვალი წიგნები შეიძინა ახალგაზრ-და წითელ არმიელებისათვის. ესკადრონებისათვის კერძოთ, სამკითხველოს შემდეგ გაზეთები აქვს გამოწერილი: „წითელი არმიელი", „მუშა", „კომუნისტი" და სხვა.

თავისუფალ დროს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთების კითხვაში ატა-რებენ. საჭიროა ბიბლიოთეკამ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტიც" გა-მოგვიწეროს ეს აუცილებელია. „ახალი სოფელიც" აუცილებელია ჩვენთვის.

#### სამხკორობა ბევრს აინტერესებს

გაზ. „წითელ არმიელს" ჯერ კიდევ სოფლებიდან იცნობენ ჩვე-ნი ახალწვეულების უმრავლესობა. ამიტომ არის, რომ ეს გაზეთი ძლიერ აინტერესებთ. მრავალი ამხანაგები ეწერებიან სამხკორთა წრეში. ეხლავე სდგება მათგან ჯგუფები, რომლებსაც სურთ მო-აწყონ გაზეთ „წითელ არმიელის" გამოწერა თავიანთი სოფლებისა-თვის კოლექტიურად.

— ჩვენ ცხოვრებას და მუშაო-ბას მხოლოდ ამ გაზეთის საშვა-ლებით გაიგებენ ჩვენი მშობლე-ბიო—გაიძახიან ისინი.

მალე ჩვენს ნაწილს მრავალი სამხკორები მოემატება ახლად მი-ღებული ძალებიდან.

„ქურხული"

## მოვიდენ ყაზარმაში
### მე-3 ლეგ. 1 ლი ასეული.

რამოდენიმე დღეა რაც მესამე ლეგიონის 1-ლ ასეულში გადმო-გზავნეს 1904 წ. დაბადებული ახ-ალგაზრდობა. მათ უკვე გაიარეს კარანტინი და შეუდგენ ნამდვილ ყაზარმულ ცხოვრებას. სიხარულით შეეგება მათ აგრეთვე ყაზარმაც.

ძველი წითელ არმიელები მოუ-ცილებლად მათთან არიან და ესა-უბრებიან ჩვენი ცხოვრების შესა-ხებ: რას ვაკეთებთ წითელ ყაზა-რმაში, როგორი ყურადღება ექცე-ვა ჩვენი სამხედრო და პოლიტი-კურ-კულტურულ განვითარების საქმეს, როგორ გვეპყრობიან მეთა-ურები და სხვა.

ამავე დროს მეთაურები საქმით ამტკიცებენ თავის მზრუნველობას ახალწვეულებისადმი. ყოველ სა-ღამოობით მოდიან ყაზარმაში და ატარებენ საუბრებს სხვა და სხვა საკითხებზე.

ახალწვეულებიც დიდ ინტერესს იჩენენ ყაზარმის ცხოვრების გაც-ნობაში.

ახლად მოსულები ყოველგვარ იმედებს იძლევიან იმის შესახებ, რომ საუკეთესო მეომრები ეყოლე-ბა წითელ არმიას მათი სახით.

გაუმარჯოს მათ მოსვლას და მუშაობას.

ი. ელიაშვილი.

## ახალი ძალა ჩვენთან
### 1-ლი მესანგრე ასეული

ჩვენი ნაწილი უკვე შეივსო ახალი ძალებით, მათი მო-სვლის დღიდან უფ-პოლიტშემადგენლობა და აგრეთვე ძვე-ლი წითელ არმიელები გამუდმებით ატარებენ საუბრებს სხვა და სხვა საგნების საკითხებზე.

ჯერ ისევ კარანტინში არიან, მაგრამ მეცადინეობა სის-ტემატიურად ტარდება, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედ-რო. კარანტინში ყველა საჭირო საგნებია. აქვე მოთავსებუ-ლია აგრეთვე კითხვა პასუხის რვეული. საჭმელი ბლომად და ნოყიერი ეძლევათ, რითაც დიდი კმაყოფილი არიან ამხანა-გები. ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს და პოლიტსაუბრებს, რომ უყურებენ გაიძახიან, რომ წითელი ყაზარმა მართლა სკოლა ყოფილა, სადაც შეგვიძლია შესაფერი ცოდნისა და გამოც-დილების მიღებათ.

ცინცაძე.

## ჩვენს სკოლასაც ეწვიენ ახალწვეულები
### მე-6 ლეგ. სკოლა

ჩვენი სკოლაც გამხიარულდა ახალწვეულების მოსვლით. ამ-ხ ნაგებმა თან მოიტანეს ყა-ზარმაში ის ახალგაზრდული ენერგია და სურვილი ცოდნის შეძენის, რომელიც ესოდენ დიდათ სჩანს მათში. საერთო განათლების მიღებით მეტის მეტად არიან ამხანაგები დაინ-ტერესებული.

ყოველ სადამოობით ტარ-დება მათთან პოლიტსაათები. შეკითხვებს უხვად იძლევიან ამა თუ იმ საკითხების გასარ-კვევად. ამას გარდა თავისუფა-ლი საათებიდან ერთი წუთიც არცდება ისე, რომ არ მოეწ-ყოს რაიმე საუბარი ან ჟურ-ნალ-გაზეთების ხმამაღალი კით-ხვა. ლენინის კუთხე კარგ ხელმძღვანელობას უწევს ამხა-ნაგებს.

საერთო განწყობილება ახ-ლად მოსულებს შორის საუც-ხოვოა. წითელი ყაზარმით მე-ტად კმაყოფილი არიან.

ო. სადმელელი.

## სამხედრო კუთხეები გამოვაცოცხლეთ.
### მე 4 ლეგ. მე-3 ათასეული.

წერტზე ჩამოსვლისთანავე ჩვენი ათასეული შეუდგა წინად დაარსებულ სამხედრო კუთხეე-ბის გამოცოცხლებას. მიღებუ-ლი იქნა ზომები, რათა შესა-ფერი ხელმძღვანელები ყოფი-ლიყო გაგზავნილი თითეუ-მათგანში. ათასეულს ჯერჯე-რობით დაარსებული აქვს ხუ-თი სამხედრო კუთხე.

ამ ჟამად ყველა ამ ადგილებ-ში სისტემატიურად მიმდინარე-ობს სამხედრო მეცადინეობა კვირაში ერთჯერ. თითეულ სა-მხედრო კუთხეში იმყოფება არა ნაკლებ 35 მსმენელისა, რომე-ლთგან უმეტესი ნაწილი კომ-კავშირელებია.

ამნაირად ათასეულს კარგ ნიადაგზე აქვს დაყენებული მა-ხლობელ სოფლების გასამხედ-როების საქმე.

სამხედრო საქმეში განსაკუ-თრებით ახალგაზრდობა იჩენს დიდ ინტერესს.

ფირცხალავა.

## ინტერესი თვითგანვითარებისკენ იზრდება
### მე-2 ლეგიონი

ჩვენს ლეგიონში ამ უკანასკნელ ხანებში უფ-პოლიტშემადგენლობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს თვითგანვითარების საქმისადმი. სამწუხაროდ დრო თვითგანვითა-რებისათვის ძლიერ მცირეა, მაგ-რამ რაც აქვთ იმას კი ნაყოფიე-რად იყენებენ. ამ მდგომარეობას-თან ერთვის კრებებისა და სხდო-მების ხშირ-ხშირად მოწვევა.

ჩვენი უფ-პოლიტშემადგენლობა დიდი ყურადღებით მოექცა აგ-რეთვე სპეციალურ ხასიათისა და სხვა ჟურნალ-გაზეთების გამოწე-რის საქმეს. არ დარჩენილა ნაწილ-ში ისეთი მეთაური და პოლიტი-კური მომუშავე, რომელსაც არ გა-მოეწეროს რამოდენიმე ეკზემპ-ლიარი სხვა და სხვა ჟურნალ-გა-ზეთები.

საერთოდ ნაწილში გამოწერი-ლი იქნა შემდეგი ჟურნალ-გაზე-თები:

ჟურნალი „ბოლშევიკი"—25 ც., „კრასნაია ზვეზდა"—35 ც., „სპუტ-ნიკ პოლიტრაბოტნიკა" — 25 ც., გაზ. „კომუნისტი"—35 ც., „ვოე-ნი ვესტნიკი"—30 ც., „ზარია ვოსტოკა"—25 ც., მოსკოვის „პრავ-და"—25 ც.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამხანაგების ასეთი ინტერესი არ შესუსტდება მომავალშიც და ენერ-გიულად განაგრძობენ თავის კულ-ტურულ-პოლიტიკურ და საზოგა-დოებრივად განვითარების საქმეს. მხოლოდ მაშინ გაამართლებენ ისინი იმ იმედებს, რომლებსაც ამყარებს მათზე მშრომელთა ქვე-ყანა.

ვ. ბურდილაძე.

## ჩვენი გამომგონებლები
### ამხ. ყავრიშვილის გამოგონებამ 44 მან. ეკონომია მისცა ლეგიონს თვეში
#### მე 2 არტლეგიონი

საერთო შეკრების დამთავრებისთანავე ლეგიონის შტაბს გაუთავდა „ექსიოგრაფის" მასალა, რამაც ძლიერ შეაფერხა შტაბის ნორმალურად მუშაობის მსვლელობა. ამ მასალას შტა-ბი დღემდის იწერდა ლენინგრადიდან და ყოველ ორ თვეში ერთხელ იხდიდა 44 მანეთს მის შესაძენად.

ლეგიონის შტაბის უფროსმა ამხ. ყავრიშვილმა მიზნათ დაისახა ასეთი მასალის დამზადება. მან დიდი და გულმოდგი-ნე ცდების შემდეგ შესძლო მიზნის მიღწევა. მან შესძლო ექ-სიოგრაფის საჭირო მასალების ადგილობრივად დამზადება, რა-მაც მისცა ლეგიონს 44 მანეთის ეკონომია თვეში. ამ ჟამად მუშაობას შტაბი აწარმოებს ახალი „ადგილობრივი" მასა-ლით.

საჭიროა სხვა ნაწილებიც გამოიყენებდენ ამხ. ყავრიშვი-ლის გამოგონებას.

ა. პა—ვა.

---

#### ცხოვეთის არმიების ცხოვრებიდან.

## ...ოთლი ლუდი და გოგო ნისიად
### პოლონეთის სალდათის ჟურნალი

...ჯარისკაცის გასაწვრთნელად ...ოლონეთის სამხედრო სამინის-...რო უშვებს ჟურნალს „პოლონე-...ის სალდათი". გამოდის ის ყო-...ლკვირეულად და გაძლიერებით ...გზავნება ნაწილებში. იგზავნება ...ფასოდ, ოფიცრებს დავალებული ...ვთ გამოიწერონ ჟურნალი თა-...ანთ ნაწილებისათვის, უნტერ-...ფიცერთა შორის სწარმოებს ხე-...ის მოწერის ფართე კამპანია; ...ურნალი მეტად იაფია—თვიურად ... კაპ.

პირდაპირ პოლიტიკურ საკით-...ებს ჟურნალი არ ეხება. წაიკით-...ვ ჟურნალს—თითქოს ყველაფე-...ი წესრიგზეა პოლონეთში. მაი-...ს გადატრიალების დროს ჟურ-...ლში არც ერთი სტრიქონი არ ...აბეჭდილა პოლიტიკაზე. რად ...ნდა სალდათს იცოდეს—რა ხდე-... ქვეყანაში. ყველა ნომერში ვერ შეხვდებით ცნობას იმის შესახებ, თუ რითაა დაინტერესებული ამ ჟამად პოლონეთი. ჯარისკაცი მო-მწყვდეულია ყაზარმაში, მოწყვე-ტილია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას—და ის ჟურნალი კი, რომელსაც აწვდის სამხედრო უწ-ყება ჯარს, იჭერს სალდათს პო-ლიტიკურ სიძნელეში. ხოლო თუ ხანდახან პოლიტიკაზეა ლაპარაკი, ისიც ყალბია და განგებ გაკეთე-ბული. აი რა ციფრები მოჰყავს ჟურნალს პოლონეთის კლასობრივ შემადგენლობის შესახებ:

64 პრო.—მიწის მუშ.
14 „ „ — მრეწველი.
9 „ „ — ვაჭარი.
11 პროც.—დანარჩენები.

მაგრამ მემამულეები და ფაბრი-კანტები სადღა არიან? მათი ცა-ლკე ჯგუფად გამოყოფა მემამუ-ლეებისათვის ხელსაყრელი არაა. და ისინი უერთებენ მემამულეებს მიწის მუშების სიას. სახნავ მიწის რაოდენობის შესახებ ჟურნალი თამამად აცხადებს, რომ მიწის მუშებს ეკუთვნის 27.867000 ჰექ-ტარი მიწა. ხოლო პოლონეთის სხვა წყაროებიდანვე ჩვენ ვიცით, რომ გლეხობას ეკუთვნის სულ 15.722.000 ჰექტარი, ხოლო 12.145.000 ჰექტარი უწევს მსხვილ მიწადმფლობელებს (და სხვა მი-წის მუშებს).

სამაგიეროდ პოლონეთის მემა-მულეები სცდილობენ ნაციონალი-ზმის განვითარებას. და ჟურნალი „პოლონეთის სალდათი", სპეცია-ლურ განყოფილებაში გაძლიერე-ბით ამახინჯებს ფაქტებს.

მაგ. 1580 წლის 6 ნოემბრის თარიღით სწერია:

მეფე სტეფან ბატორიმ დაიწყო ომი მოსკოვთან, რათა წაერთმია რუსებისათვის პოლონეთის ქალა-ქები სმოლენსკი, ფსკოვი, ნოვგო-როდ, ველიკიე ლუკი.

პსკოვსა და ნოვგოროდს პოლო-ნეთის ქალაქებად ასახელებენ!

ასე აკეთებენ მემამულეები პო-ლონეთში მათთვის საჭირო „პო-ლიტიკას". მაგრამ მათი მთავარი მიზანია კარგი მეომარი გაჰხადონ პოლონეთის სალდათი. და აი, ნო-მრიდან ნომერში მიდის საბრძო-ლო ოპერაციების აღწერა, მომე-ტებულად 1902 წლის კამპანიი-დან. ჟურნალი ასწერს წვრილ სა-ბრძოლო ამბებს, სადაც ხაზგასმით აღინიშნება, რომ „პოლონეთის სალდათი" ყველგან და ყოველ-თვის შეტევაზე გადადის, ყველგან და ყოველთვის იმარჯვებს. ამრი-გათ შეუმჩნევლად ჯარისკაცთა მასებში ძლიერდება შეტევითი მიდრეკილების შთანერგვა.

იბეჭდება მრავალი სხვა და სხვა სამხედრო წერილი. წერილებს თანდართული აქვს ტაბულები და ნახატები ტაქტიკურ თემებზე. მე-ტად თვალსაჩინოდ გამოიხატება, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ტანკების, ქვეითი ჯარის, არტილერიის წინააღმდეგ, რა უნ-და ქნა პირით იერიშის დროს და სხვა.

ხოლო სალდათს რომ არ მოს-წყინდეს, ჟურნალში იბეჭდება ნი-მუშები, თუ როგორ მოიქცა „ყო-ჩაღი—ულანი" და „ვაჟკაცი—ფე-ხოსანი"

—ლუდხანაში სხედან ორი სა-ლდათი. ერთი ამბობს:

— არი თუ არა ქვეყანაზე რა-იმე ერთ ჭიქა არაყზე უკეთესი!?

— არის...

— რა?

— ორი ჭიქა არაყი."

ანდა სალდათის ლაპარაკი მება-ლესთან:

— შენ, ეი, მომყიდე ნისიად ქალი!

— არა ის გასაყიდი არაა.

მაგრამ სალდათებმა შიში არ იცის.—გაბედულად მიდის ქალი-საკენ.

ყოველივე ამას სწერენ სალდა-თისათვის. ხოლო თვითონ სალ-დათი რას სწერს? მისი ნამდვილი აზრების ძებნა—წყლის ნაყვა იქ-ნებოდა; მას ჟურნალში ვერ შეჰ-ხვდებით. წერა შეიძლება ნაწი-ლის უფროსის ნებართვით და ოფიცრების ცენზურის ქვეშ. და განყოფილება „ნაწილის ცხოვრე-ბიდან" ივსება ყოველგვარი დღე-სასწაულების აღწერით. აი მაგა-ლითი ტიპიური ცნობა დღესასწა-ულის შესახებ:

მე-7 პოლკში დიდის ზეიმით გადაიხადეს პოლონეთის პირველი მარშლის—პილსუდსკის სახელობის დღე. მთელი პოლკი დროშით გა-ემართა ეკლესიაში წირვაზე. წმი-ნდა წირვის შემდეგ გაიმართა აღლუმი, ხოლო საღამოს საზეიმო სხდომა მოხსენებით პილსუდსკის ცხოვრების შესახებ.

აი მეორე ცნობა კულტურულ მუშაობის შესახებ:

მე-23 საარტ. პოლკში გაიმარ-თა სპექტაკლი შემოწირულების დაგროვების მიზნით სალდათების სასარგებლოდ. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მაიორ ბრენერის ცოლმა. საუცხოვოდ უკრავდა ორ-კესტრი და ჩვენი საყვარელი სა-ლდათუნებიც კარგად მხიარულო-ბდენ.

აი—პოლონეთის სალდათის ცხ-ოვრება. ბოთლი ლუდი, გოგო ნისიად, ორმაგი კერძი ხორცისა დღესასწაულებზე, აღლუმი, წირვა და სამხედრო სწავლა დილიდან დაღამებამდის.

X.

# სამხკორის კუთხე

## ახალწვეულო, იყავ სამხკორი

### როგორ უნდა ვსწეროდ გაზ. „წითელ არმიელში“.

გაზ. „წითელ არმიელი“ წითელ არმიელთა გაზეთია. ის ეხმარება წითელ არმიელს მის სამხედრო და პოლიტიკურ სწავლაბაში, მის კულტურულ განვითარებაში.

**ვის შეუძლია სწეროს გაზეთში.**

მაგრამ გაზეთი „წითელ არმიელი“ ვერ იქნებოდა სავსებით წითელ არმიელთა ინტერესების გამომხატველი და მათი საკუთარი გაზეთი, რომ მასში არ სწერდენ თვით წითელ არმიელები, მხოლოდ იმ პირობით, რომ წითელ არმიელები სწერენ „წითელ არმიელში“ ნაწილის ცხოვრების, თავიანთი ცხოვრების, წითელ არმიელთა საჭიროებებსა და ინტერესების შესახებ — გაზეთი იქნება საინტერესო და შინაარსიანი და დააკმაყოფილებს წითელ არმიელთა მოთხოვნილებებს.

გაზ. „წითელ არმიელში“ შეუძლია სწეროს თითეულ სამხედრო მოსამსახურემ.

თითეულ წითელ არმიელს შეუძლია და კიდევაც უნდა სწეროს თავის, წითელ არმიელთა გაზეთში — „წითელ არმიელში“, რათა ის უფრო დაუახლოვდეს წითელ არმიელთა საჭიროებებსა და ინტერესებს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ გაზეთში წერა მარტო სამხკორთა ვალდებულებას შეადგენს. გაზეთში წერა—თითეული შეგნებული წითელ არმიელის მოვალეობაა.

**როგორ უნდა იწერებოდეს კორესპონდენცია.**

გაზეთისათვის კორესპონდენციის წერის დაწყებამდე, საჭიროა გაითვალისწინოს წითელ არმიელმა ის, თუ რაზე უნდა დასწეროს. ვსთქვათ, წითელ არმიელმა გადასწყვიტა დასწეროს კორესპონდენცია იმის შესახებ, თუ როგორი საჭმელი მზადდება ნაწილის სამზარეულოში.

მაშინ საჭიროა ავიღოთ სუფთა ქაღალდის ფურცელი, ფანქარი და ჩამოვსწეროთ ყველაფერი ის, თუ რას ვფიქრობთ საჭმელის შესახებ: კარგია თუ ცუდი ის, ყოფნის ის წითელ არმიელს თუ არა. სუფთად მზადდება თუ არა და სხვა.

**კორესპონდენციის გაგზავნა**

შეიძლება ფოსტით. კონვერტს უნდა დააწეროს რედაქციის მისამართი. წერილის ჩაბარება შეიძლება ან წითელ არმიელთა წიგნაკის საშვალებით, ან შეძენილი უნდა იქნეს მარტო მარკა და ისე გადიგზავნოს. უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც წითელ არმიელთა წიგნაკი უკვე გამოყენებულია, ან არ არის მარკის შესაძენი საშვალება, წერილი იგზავნება უმარკოთ, მაგრამ ეს იშვიათად უნდა ხდებოდეს, გამონაკლის უნდა შეადგენდეს.

**რაზედ, რის შესახებ უნდა იწერებოდეს კორესპონდენცია**

ამ ჟამად ახალწვეულს მდიდარი მასალა აქვს ნაწილში. მისთვის იქ ახალია ყველაფერი. შეიძლება დაიწეროს ყაზარმის პირველი შთაბეჭდილების შესახებ, მეთაურების ახალწვეულებისადმი დამოკიდებულების—მოპყრობის, ტანსაცმლის მიღების, კლუბში სიარულის და საერთოდ ყველა იმის შესახებ, რაც კეთდება ნაწილში.

შეიძლება წერა აგრეთვე იმის შესახებაც თუ როგორ ატარებს ახალი შეკრება დროს ყაზარმაში, რა აინტერესებთ და სხვა.

**ხელის მოწერა კორესპონდენციაზე.**

კორესპონდენციაზე საკუთარი სახელისა და გვარის მოწერა არაა აუცილებელი. თუ წითელ არმიელს სურს, რომ არ გაიგონ ნაწილში კორესპონდენციის დამწერის ვინაობა — ავტორი, მას შეუძლია სხვა გამოგონებული სახელი მოაწეროს მას. ასეთ გამოგონებულ სახელს ეწოდება — ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ი, მაგრამ რედაქციამ კი აუცილებლად უნდა იცოდეს კორესპონდენციის დამწერის ნამდვილი ვინაობა. ამ შემთხვევაში უნდა მოვიქცეთ ასე:

„ხელმოწერა—კლდე. რედაქციისათვის ვსთქვათ—ხელაშვილი“. კლდე იქნება ფსევდონიმი, ხოლო ხელაშვილი კი ნამდვილი გვარი.

**სამხკორო!** ნუ შეასუსტებ წერილების წერას. მოიწერე როგორ ტარდება რედკოლეგიების და პარტახკომკავშირის უჯრედების მუშაობა. სწერეთ ახალწვეულთა მიღებისათვის ყაზარმაში წარმოებულ სამზადისზე.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

### სტირიან ჩვენი ცხენები.

მე-2 არტლეგიონში ცხენებისთვის არ არსებობს ბინა. მართალია არის პატარა საჯინიბო, მაგრამ ყველა ვერ ეტევა შიგ და თითქმის ნახევარზე მეტი ცხენები გარედ არიან ამ ყინვებში. თუ ასე გაგრძელდა, ცხენები დაავადმყოფდებიან და დაიღუპება სახალხო ქონება. საჭიროა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და გამოინახოს ბინა ცხენებისათვის.

წითელი.

### შეგვიკეთეთ ფეხსაცმელები.

მეორე ლეგიონის ბატარეის წითელარმიელებს ეს ერთი ხანია სულ შამოფცვითად წაღები. სამნეო ნაწილის ბრძანებით ლეგიონის ყველა დანარჩენ ნაწილების წითელარმიელებს შეუკეთეს წაღები, რამოდენიმეჯერ მაინც, იმ დროს, როდესაც ჩვენ არავის ვახსოვართ. ჩვენც უნდა მოგვექცეს ყურადღება და შეგვიკეთდეს წაღები.

გ. გ—ვი.

### სისუფთავე არ არის დაცული.

1-ლი ლეგიონის ბატარეის სასადილოში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. სასადილოს არა აქვს ჭერი. სახურავიც შელახულია. რაც უნდა გაწმენდილი იყოს მაგიდები მაინც ჭუჭყიანდება სასადილოში შეფრენილი ჩიტებით და სხვა. ამასთანავე ერთად არა გვაქვს საკმაო მაგიდები. ოთხწყებად გვიხდება სადილობა წითელარმიელებს, რასაც 3 საათი დრო მაინც უნდა დაახლოვებით და სხვა საქმეს ველარ ვწევვართ. დრო მოგვარდეს ყველა ესენი. სამნეო ნაწილო, მიაქციე ყურადღება.

გ. გ-გუაშვილი.

### ჩვენც შეგვასწავლეთ წერა-კითხვა.

მე-3 ლეგიონის სანიტარულ ჯგუფში მყოფი წითელარმიელები ეხლაც წერა-კითხვის უცოდინარი არიან. არც პოლიტსაათები იკითხება ჯგუფში. არა ერთხელ გამოუთქვამთ წითელარმიელებს ამის შესახებ უკმაყოფილება, მაგრამ დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია. საჭიროა ამ ჯგუფსაც დაენიშნოს პოლიტხელი და შეასწავლონ უცოდინარებს წერა-კითხვა. არც ერთი გაზეთი დღემდე ჯგუფში არ მოდის. იმედია ხელმძღვანელები შემდეგში მაინც მიაქცევენ ჯგუფს ყურადღებას და ბოლოს მოუღებენ წითელარმიელების უცოდინარობას.

ლ. წულაძე.

# პასუხი შეკითხვებზე

— კომახიძეს. მეორე საფეხურის სკოლა უნდა გქონდეთ დამთავრებული, რომ მოხვდეთ მოსკოვის საინჟინერო კურსებზე.

— მ. ს. ვისაც ოჯახში ორი სული ყავს სარჩენი ის სარგებლობს მეორე ხარისხის შეღავათებით. უნდა მოუცადოთ პასუხს.

— გოგიშვილს. გამოცდების დაწყების დროის შესახებ განკარგულებას ახდენს დივიზია.

— ბულუხაძეს. უვადო შვებულებაში წახვალთ გაისად.

— ლურსმანაშვილს. კვლევა-ძიებით თუ დამტკიცდა, რომ მაზარა თქვენი მიზეზით არ დაკარგულა, მაშინ მოგეცემათ სხვა.

— სილაგაძეს. თუ თქვენ ნამდვილად 1907 წ. ხართ დაბადებული და ამის შესახებ მოწმობას თუ წარადგენთ,—განთავისუფლებული უნდა იქნეთ.

— გოლეთიანს. საშუალო სკოლა დამთავრებულები ჯარში გაყავენ, თუ ისინი გაწვევის დროს უმაღლეს სასწავლებელში არ იყვნენ ჩარიცხულნი.

— შარვაშიძეს. საშუალო სკოლა დამთავრებული, თუ მას გამოცდები არ ჩაუბარებია საშუალო მეთაურზე, მსახურობს ორ წელს. არავითარი ოჯახური შეღავათებით არ სარგებლობს.

— ნადარეიშვილს. ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის დროის ფული გერგებათ. მიმართოდ სამხედრო პროკურორს.

— გელაშვილს. თქვენ უნდა მიიღოთ ხმარებისათვის ვარგისი ტანსაცმელი. მიმართედ სამნეო ნაწილის უფროსს.

— გე—შვილს. წაიკითხედ ზევით ნადარეიშვილის პასუხი.

— რუსიაშვილს. მოგეცემათ ხმარებისათვის ვარგისი მაზარ...

— გოგიტიშვილს. შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებთ ბრ. № 367—26 წ. მოთხოვნილებას.

— რურუას. განცხადების მიცემა ეხლა არ ღირს, რადგან ... ჟამად შეღავათები არ მოგეცემათ. (ბრ. № 965—25 წ.)

— სანოიანს. მოსკოვში წასვლა შეგიძლიათ იმ შემთხვევა... თუ ამ ქალაქთან რაიმე ნათესაური კავშირი გაქვთ, რაც სათანა... მოწმობებით უნდა იქნეს დამტკიცებული.

— კუკულიას. ვეტფერშლების სამსახურის შესახებ წაიკითხე... ბრ. № 505—26 წ.

— მ—ლიას. ამ ჟამად წითელ ფლოტში მოხალისეებს არ ღ... ბულობენ.

— ო. გ. თქვენი ძმა შეღავათებით არ სარგებლობს.

— შავდიას. თქვენი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გა... წვევის დროს თქვენ შეღავათებით არ სარგებლობთ.

— ხ. ი.— სწორი პასუხი მიუცია უფროსს. წაიკითხეთ ბრ. № 367—26 წ.

— ამაშუკელს. ვინც სარგებლობს პირველიხარისხის შეღავათებით მათი კადრში ჩარიცხვა არ შეიძლება ბრ. № 965—25 წ.

— ა. ც. თქვენ რჩენაზე მყოფი და სწავლის ფულისაგან თავისუფალია. ბრ. № 1520.

— მამასახლისს. (ლეგიონის) ნორმალურ სამხ. სკოლაში შე... ვლის დროს ტანსაცმელი გეძლევათ ბრ. № 1009—25 წ. თანახმა...

— ხ—შვილს. თქვენ მიერ წამოყენებული მიზეზით მოკლევ... დიან შვებულებაში წასვლა არ შეგიძლიათ.

— წ. მოლაშქრეს. დაგვიანებულია. მიღება შეწყვეტილია.

— სოფლელს. პირველ ოქტომბრიდან სწარმოებდა მიღება ს... ტრაქტორო კურსებზე. ეხლა დაგვიანებულია.

— № 6. თქვენ ამ ზამთარში ახალი მაზარა არ მოგეცემათ ვინაიდან თქვენ მაზარას ტარების ვადა არ გასვლია.

— ჰ. არა. მიმართედ დამცველთა კოლეგიას.

— ს—ლაძეს. ამ წელიწადს არ გერგებათ.

— მეწაღეს. ორი წელიწადი უნდა იმსახუროთ.

# ჩვენი ფოსტა

შ. თუშიშვილს. ლექსი „მომავალ ახალგაზრდობას“ გამოუსადეგარი... არ დაიბეჭდება. მოიწერედ ნაწილის ცხოვრების შესახებ.

სულეიმანს. თქვენი კორესპონდენციას დაგვიანების გამო დაკარგუ... ლი აქვს თავისი მნიშვნელობა. მოიწერეთ წერილები თავ... დროზე.

კ. როყუას. გაერთიანებული კრების შესახებ თქვენი ნაწილიდ... იყო კორესპონდენცია. მეორედ აღარ დაიბეჭდება.

შუ-ბეს. თქვენი კორესპონდენცია შვებულების შესახებ არ გად... შვებულება საერთოდ აღარ ეძლევათ თუ ამისათვის რაიმე ს... პატიო მიზეზები არ იქნება.

ჯატიევს. თქვენი კორესპონდენცია მეტად დაგვიანებით მივიღე... არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

მე-2 დივიზიის მე-2 არტლეგიონის პირველ დივიზიონის კო... უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტკანდიდატობიდ... პარტწევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. აქვსენტი დომენტისძე გიორგობიანს, 2. არუთინოვ მნაც... კან სტეფანესძეს, 3. სარუნოვ ვართან სერგოსძეს.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობო... აღნიშნულ უჯრედში.

მე-5 ლეგიონის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხა... დება კომკავშირის წევრს ამხ. ფურცელაძე შალვას კომპარტიის კა... ნდიდატად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინაალმდეგო აქვს გთხოვთ გვაცნობო... დღიდინ ამის გამოქვეყნებისა ერთი კვირის განმავლობაში.

მე-3 ქ. მსრ. ლეგ. 1-ლი კომუჯრედში შემოტანილი აქვთ გა... ნცხადებები ა. ლ. კ. კ. წევრებს კომ. პარ. კანდიდატობაზე გად... რიცხვის შესახებ: ამხ. იოსებ ლევანისძე ელიაშვილს (რკინის გზ... მუშა), ლაზარე ზაქარიასძე მაზმიაშვილს, მარკოზ ბიწაძეს და უპა... ტიო ამხ. იასონ ზურაბისძე გურულს.

თუ ვინმეს რაიმე საწინაალმდეგო გაქვთ მათ მიმართ, გთხოვ... გვაცნობოთ აღნიშნულ კომუჯრედში ათი დღის განმავლობაში.

**დაიკარგა** მანდატი, № 160 ა. ლ. კ. კ. წევრ... ბისა გორის მაზრის ახალდაბის რაიკომ... დან გაცემული გიორგი ილიკოსძე ლომიძის სახელზედ. ჩაითვალ... გაუქმებულად.

**დაიკარგა** პარტკანდიდატობის ბარათი № 2472 გა... ცემული 1924 წ. მე-2 ქ. მსრ. დივიზი... პარტკომისიის მიერ თეოფანე თელიას სახელობაზე. ჩაითვალოს გა... უქმებულად.

**გაზ. „წითელ არმიელის“ ხელის მომწერთ...**

**საყურადღებოთ!**

**ნოემბრის და დეკემბრის** თვეებზე გა... ზეთის ხელის მომწერთა მიღება სწარმოებს რედაქ... ციის კანტორაში ყოველ დღე დილ. 9 ს. 3 საათამდ... კვირა უქმე დღეებში 8—10

გაზ. „წითელ არმიელი“-ს კანტორა.

# უცხოეთის არმიებში

### ძლიერია თუ არა ჩვენი მეზობლების საზღვაო ფლოტი?

ლატვიის ფლოტის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. დღემდის ის შესდგებოდა ერთი გემისაგან, რომლის დანიშნულებაც განუსაზღვრელი იყო. მართალია, ლატვიამ დაუკვეთა საფრანგეთს ოთხი ახალი გემი, მაგრამ ლატვიის ფლოტის ასეთი გაძლიერებაც თავისთავად არ იყო არსებითი და საშიში საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ბალტიის სახელმწიფოები ცდილობდენ შეეკრათ ერთმანეთ შორის კავშირი, ხოლო ამიტომ, ვლაპარაკობთ რა ფლოტზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ყველა ჩვენი მეზობლების საზღვაო შეიარაღებული ძალები ბალტიის ზღვაზე.

დღემდის ფლოტი, როგორც ძალა, ჰყავდა მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და შვეციას. ჩვენს მეზობლებს ფლოტი ან სულ არ ჰყოლიათ ანდა ჰყავდათ ისეთი, რომელიც გადამჭრელ როლს არ თამაშობდა. მაგალითად, ფინეთს, გარდა რამოდენიმე მოძველებულ ნაღმოსნისა და სადარაჯო გემის, არაფერი არ ჰყავთ. ესტონეთს ჰყავს სამი კარგი ნაღმოსანი და წყვილი ყუმბარმშენი ნავი, მაგრამ წყალქვეშა ნავები სრულებით არ ჰყავს ჯერჯერობით. ლიტვას სრულებით არ ჰყავს საზღვაო შეიარაღებული ძალები.

ჩვენთვის საშიში არაა პოლონეთის დღევანდელი ფლოტიც, რომელიც დღემდის შესდგებოდა ორი ყუმბარმშენი ნავისაგან, 6 საესკადრო საშუალო სიდიდის ნაღმოსნისაგან და რამოდენიმე დამხმარე, მდინარეების გემისაგან. მაგრამ ყველამ იცის პოლონეთის „მშვიდობიანი“ პოლიტიკა, რომელსაც მართავს საბჭოთა კავშირის სასტიკი მტერი პილსუდსკი. პოლონეთი მიისწრაფის არა მარტო იქეთ, რომ გახდეს ევროპის დამცველი კედელი ბარბაროს ბოლშევიკებისაგან,—ის უცდის მოხერხებულ დროს წააღლიტოს რამე საბჭოთა კავშირს. შესძლებს თუ არა ის ამას, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ის ხმამაღლა ოცნებობს თავის ბატონობის შესახებაც არა თუ ხმელეთზე, არამედ ზღვაზედაც. ის აძლიერებს თავის ფლოტს, მას დაკვეთილი აქვს 15 ახალი გემი. აქ შედიან კრეისერებიც, ნაღმოსნებიც და წყალქვეშა ნავებიც. გარდა ამისა პოლონეთი სცდილობს შეუგუოს თავის სავაჭრო ფლოტი სამხედრო მიზნებს. ასეთ ფლოტს უკვე აქვს ძალა, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

მთავარი საფრთხე იმალება ჩვენი ბალტიის მეზობლების არა შეიარაღებულ ძალებში, არამედ იმაში, რომ ამ მეზობლებს საჭირო მომენტში მიეშველებიან ინგლისისა და საფრანგეთის ესკადრები.

საფრანგეთი და ინგლისი ზრუნავენ არა იმდენად ჩვენი მეზობლების ფლოტის გაძლიერების შესახებ, არამედ მათ სურთ ქონდეთ თავის ფლოტისთვის ბაზა საბჭოთა კავშირის მახლობლად.

ამ მიზნით ინგლისი ამზადებს ლიტვასა და ესტონეთს, ხოლო საფრანგეთი პოლონეთს. რაც არ უნდა დაუჯდეს „იყიდოს“ კუნძულები ეზელი და დაგო ესტონეთისაგან სამხედრო საწყობების ასაგებად, რაც არ უნდა დაუჯდეს ხელში ჩაიგდოს ბალტიის სახელმწიფოების კარგი ჩავთსადგურები—აი რას სცდილობს „ბალტიის პატარა სახელმწიფოების ინტერესთა“ დიდი მფარველები.

ინგლისის და საფრანგეთის მიზნებია გააჩერონ საბჭოთა კავშირი თავდასხმის მუდმივ საფრთხის წინაშე, რათა ისინი უფრო „თავაზიანი“ იყვნენ მოლაპარაკებაში.

ბალტიის ფლოტზე ჩვენთვის საფრთხე არსებობს, მაგრამ არც იმდენი ჩვენი მეზობლების მცირე ფლოტების მხრივ; მთავარი საფრთხე მოსალოდნელია მათი „ოპეკუნებისაგან“. ამიტომ ჩვენთვის საჭიროა ვიფიქროთ თავისი შეიარაღებულ ძალების განმტკიცებასა და ბალტიის ზღვაზე მტკიცე მდგომარეობის უზრუნველყოფის შესახებ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8 პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.